ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქო
წმინდა დიმიტრი ყიფიანის
სახელობის სკოლა

ხაშური რუსთაველის ქ. #2 tel: 24-04-31

NNLE GEORGIAN
PATRIARCHY
SCHOOL NAMED
AFTER SAINT DIMITRI
KIPIANI

Khashuri. rustaveli st. #2 Tel.24-04-31

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის
დირექტორის

ბრძანება #1/42

1 ივლისი 2024წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის # 1/23 ბრძანებაში (სტრატეგიული გეგმა) ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა მუხლისა და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2021 - 2027 წლებისათვის ამ დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საქმის მწარმოებელს ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირისათვის;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. .ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. ხაშურის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ხაშური კოსტავას ქ#15)

დირექტორი: ეპისკოპოსი სვიმეონი
(თეიმურაზ ცაკაშვილი)

† სვიმეონი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის

სტრატეგიული გეგმა

2021 -2027 სასწავლო წელი

შესავალი

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლის 2021-2028 წლის სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის სტრუქტურას, საქმიანობის გრძელვადიან ხედვას, მისიას, განმარტავს სკოლის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სკოლის განვითარების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობას და მთელი სასკოლო საზოგადოების სკოლის საქმიანობაში აქტიური ჩართულობის წახალისებას. ამავე დროს სკოლის თანამშრომლები სტრატეგიულ გეგმას განიხილავენ, როგორც შესაძლებლობას, ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიარონ თავიანთი ხედვა და ამით ხელი შეუწყონ სკოლის საქმიანობის შეფასებასა და სრულყოფას. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილმა ჯგუფმა მუშაობის დაწყებისას ყურადღება გაამახვილა სკოლისა და სასკოლო საზოგადოების მდგომარეობაზე ხუთი ძირითადი ასპექტით:

- მოსწავლეთა შედეგები;
- მასწავლებელთა და სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;
- სკოლის მატერილურ ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სკოლასა და საზოგადოებას შორის კავშირი;
- რესურსების მოზიდვა და მართვა;

სკოლის 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის ხედვას და მისიას, მიმოიხილავს ძლიერ და სუსტ მხარეებს, აზუსტებს სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს.

1. ისტორიული მიმოხილვა

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა ისეთი პიროვნების სახელს ატარებს, რომელმაც საკუთარი ღვაწლით წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის სულიერ და საზოგადოებრივი განვითარების საქმეში .

წმიდა დიმიტრი ყიფიანის თანადგომითა და უშუალო მონაწილეობით იქნა დაარსებული: საჯარო ბიბლიოთეკა, პროფესიული ქართული თეატრი, ეროვნული ჟურნალისტიკა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და მრავალი სხვა. მისი შუამდგომლობით დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“. მანვე განსაზღვრა ჟურნალის თემატიკა, რომელიც ყველა კატეგორიისა და სოციალური ფენის მკითხველს ითვალისწინებდა. მის სამეცნიერო-ისტორიულ ნაშრომებში დამუშავებულია საქართველოს ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხი: ქართველთა ეთნოგენეზისი, სახელმწიფოებრიობისა და რელიგიის ისტორია. მისთვის ამოსავალი იყო დებულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე. 1886 წელს სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობისათვის, საქართველოს ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა, ქართველი ერი ამბიონიდან დასწყევლა, რის გამოც დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს პრაქტიკულად საქართველოს დატოვება მოსთხოვა.ამის გამო დიმიტრი ყიფიანი

თანამდებობიდან გადააყენეს, გადაასახლეს და როგორც აკაკი წერეთელი წერდა „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“. წმინდა დიმიტრი ყიფიანის შეწევნითა და ჩვენი სკოლის პერსონალის გუნდური ძალისხმევით სკოლას არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია როგორც საგანმანათლებლო, ასევე სახელოვნებო მიმართულებითაც.

მისია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა ქმნის პოზიტიურ, კონკურენტუნარიან და სწავლისთვის მასტიმულირებელ გარემოს, რათა აღზარდოს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი მომავალი თაობა, რომელიც თავის პოტენციალს მოახმარს ეროვნულ მიზნებს.

ხედვა

სასკოლო განათლება მოზარდს განუვითარებს ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის უნარ-ჩვევებს, ასწავლის ოჯახის მართლმადიდებლური ტრადიციების პატივისცემასა და სამშობლოს სიყვარულს;

უცხოური ენის გაძლიერებული სწავლებითა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული მოზარდების რაოდენობა იქნება მუდმივად მზარდი.

ღირებულებები

. ღვთისა და მოყვასის სიყვარული;
. პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
. მიუკერძოებლობა;
. თანაგანცდა და თანადგომა;
.გუნდური მუშაობა.

1. სტრატეგიული გეგმის მიზნები

N1 სტრატეგიული მიზანი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარება;

1.1. ამოცანა სპორტის დარბაზის რეაბილიტაცია;

1.2 საგნობრივი ლაბორატორიების მოწყობა

1.3 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტის აღჭურვა პერსონალური კომპიუტერებით, ქსელში ჩართული ინტერნეტით.

1.4 სკოლის უსაფრთხოების სისტემების განვითარება;

➢ აქტივობები:

- სკოლის ფინანსური შესაძლებლობების მობილიზება სპორტის დარბაზის რეაბილიტაციისადა კომპიუტერების შესაძენად.
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟება;
- ვიდეო-კამერის დამონტაჟება;

➢ ინდიკატორები:

- 2021-2027 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლა უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით;
- 2028 წლის ბოლომდე ვიდეო-თვალთვალის სისტემა დაფარავს სკოლის მთელი ფართობის 90%-ს;
- 2021-2027 სასწავლო წლისთვის სკოლის კომპიუტერების ლაბორატორია განახლდება 100%-ით, საწავლო პროცესში გამოყენებული იქნება დამატებით სამი პროექტორი და ნეთბუქი.

N2 სტრატეგიული მიზანი - სკოლის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება

2.1ფინანსური რესურსების მოზიდვა.

➢ აქტივობები:

- ფინანსური რესურსების მოზიდვის ალტერნატიული გზების მოძიება;
- მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით საინფორმაციო რესურსების გამოყენების გააქტიურება.

➢ ინდიკატორები:

- სკოლის ბიუჯეტი ზუსტად ასახავს სკოლის საჭიროებებს;
- თანხები იხარჯება რაციონალურად დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით;
- 2027 წლისთვის გათბობის სეზონზე მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სითბოს დანაკარგები;

N3 სტრატეგიული მიზანი - ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად

3.1. ამოცანა - ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ და უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

აქტივობები:

- პროცედურების და ქცევის წესების დაზუსტება მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და სკოლაში მყოფი ნებისმიერი ადამიანისთვის;
- ანონიმური გამოკითხვების ჩატარება და ნებისმიერი ძალადობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

➢ ინდიკატორები:

. მოსწავლეთა ტოლერანტობის ხარისხი ამაღლდება და მათი დაინტერესება სასკოლო აქტივობებში.

N4 სტრქტეგიული მიზანი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა

4.1. ამოცანა - ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის N68 დადგენილების მოთხოვნების შესრულებაში მასწავლებელთა ყოველმხრივი დახმარებით უზრუნველყოფა.

➢ აქტივობები:

- საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, მასწავლებლებისთვის სიახლეების დროულად გაცნობა;
- საინფორმაციო რესურსების აქტიური გამოყენება, მასწავლებლების უზრუნველოფა საჭირო ლიტერატურით, გზამკვლევებით;
- მასწავლებლებისთვის ტრენინგების გავლაში დახმარების გაწევა;
- სქემის განხორციელების პროცეში მასწავლებელთა ტექნიკური უზრუნველყოფა;
- საგნობრივი კათედრების საქმიანობის გააქტიურება;

➢ ინდიკატორები:

- მასწავლებლები წარმატებით გაართმევენ თავს საკონსულტაციო და დამატებით საქმიანობას;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფის საქმიანობის მონიტორინგის და შეფასების პროცესი იქნება აქტიური და გამჭვირვალე.

N5 სტრქტეგიული მიზანი - სკოლის ბიბლიოთეკის განვითარება

5.1. სკოლის ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა თანამედროვე ელექტრონული პროგრამით;
5.2. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას თნამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, ქართული და მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებებით, ასევე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელოებით.

აქტივობები:

- ბიბლიოთეკის თანამედროვე ელექტრონული პროგრამის მოძიება და შესყიდვა;
- წიგნების ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარება და პარალელურად საჭიროებების განსაზღვრა;
- შესასყიდი ლიტერატურის დადგენა და შესყიდვა.

➢ ინდიკატორები;

- შეიქმნება სკოლის ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზა;
- ინვენტარიზაციის შედეგად დაზუსტდება წიგნების ფონდი და საჭიროებები წიგნების ფონდის შესავსებად;
- ბიბლიოთეკა სასკოლო სასწავლო გეგმაზე მოსარგებად შეივსება ახალი ლიტერატურით;

N6 სტრქტეგიული მიზანი - მშობლების დაინტერესება სკოლის საქმიანობაში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით

6.1. ამოცანა - მშობლებს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ მათ დაინტერესებას სკოლის საქმიანობაში ჩართულობით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლის დირექცია და მასწავლებლები.

➢ აქტივობები:

- სკოლა მშობელს აწვდის ინფორმაციას სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, სიახლეების, ასევე მათი შვილის/შვილების მოსწრებისა და გაცდენების შესახებ;
- სკოლის ღონისძიებების ორგანიზებაში მშობელთა აქტიური ჩართვა;
- მშობელთა დასწრება სასკოლო ღონისძიებებზე, რის ფარგლებშიც მშობლები ეცნობიან საკუთარი შვილების წარმატება-წარუმატებლობას, მიღწეულ პროგრესს;
- მშობლების მოწვევა გაკვეთილებზე დასასწრებად;
- ნებაყოფლობითი ღონისძიებები, რომელსაც სკოლა მშობელთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მართავს;
- მშობლების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სკოლასა და მშობლებს შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ურთიერთობა.

➢ ინდიკატორები:

- გაიზრდება მშობლების მონაწილეობით სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა;
- მშობლები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან შვილის სასწავლო პროცესში და გაცდენების რაოდენობა მოიკლებს; მშობლებს გაუჩნდებათ შეგრძნება, რომ სკოლა და ოჯახი ერთიანი სივრცეა;
- მშობლებს გაუჩნდებათ სასწავლო პროცესზე კონტროლის განცდა და შესაბამისად მოტივაციაც;
- მშობლები უფრო თამამად გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებს, რაც სკოლას ეხმარება საქმიანობის გაუმჯობესებაში;

- გაიზრდება მშობელთა ჩართულობა შვილების სასწავლო პროცესში საბაზო და საშუალო საფეხურზეც.

7. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების სისტემა

სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით იწარმოებს მონაცემთა შეგროვების უწყვეტი პროცესი. აღნიშნულ პროცესში სტრატეგიული გეგმის განხორციელების მიზნით გატარებული ღონისძიებების და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოხდება სტრატეგიული გეგმის განვითარება და გაუმჯობესება. მონიტორინგის შედეგად განისაზღვრება სტრატეგიული მიმართულებების ეფექტიანობა, განსახორციელებელი აქტივობების შედეგიანობა, დანერგვის პროცესში წესების და პროცედურების შესრულება. საბოლოო შედეგების დადგომამდე მონიტორინგის პროცესის სწორად წარმართვა სკოლის დირექციას საშუალებას მისცემს შეაფასოს რამდენად სწორი მიმართულებით მიმდინარეობს სტრატეგიული გეგმის განხორციელების ფაზა. მონიტორინგის მიზნით შექმნილი ჯგუფი მონიტორინგის პროცესში შეგროვებულ მონაცემებს შეადარებს გეგმის განხორციელებამდე არსებულ მონაცემებს. მონაცემთა შედარების შედეგები აისახება სტრატეგიული განვითარების გეგმის ანგარიშში, რომლის საფუძველზეც სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას გაგრძელდეს გეგმის განხორციელება არსებული რეჟიმით თუ მოხდეს სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების გადახედვა.

დირექტორი ეპისკოპოსი

+ სვიმეონი